პარასკევი 1919 წ. თიბათვის 13 № 120

წლიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. თიბათვის 13 № 120

ფასი 2 მან.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

ყურადღება!..

ყურადღება!..

ყურადღება!..

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

დაწმენდილი არაყი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—9)

სოჭში ცამეტ მარტს სახადით გარდაიცვალა ყოფილ მე 2 ლეიბ-დრაგუნის გვარდიის პსკოვის პოლკისა როტმისტრი

გიორგი დავითის ძე

ფორაქაშვილი

რასაც ნათესავებს აუწყებენ გულდაწყვეტილნი დედ-მამა; თინათინ გიორგის ასული და დავით ილარიონის ძე ფორაქაშვილები. ძმები ზაქარია და ირაკლი, ბებია ელისაბედ ვაჩნაძის და რძალი სოფიო ივანეს ასული ფორაქაშვილი-კვეზერელი. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია კვირას 15 თიბათვეს თორმეტს საათზედ. ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში. 2—2441—1

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ტერეზი მიხეილის ასული, შვილები: გაიოზ, ელენე და ნუგზარა, დედა ელისაბედი, ძმები: [illegible], პეტრე, ლევან და ერმოლოზ, რძლები: ანნა, ელენე და [illegible] კოპლატაძენი, დაი კესარია, სიძე [illegible] ალმასხანის ძე ნიკოლაიშვილი შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ რომ შაბათს, 14 ივნისს, (ახ. სტ.) დილის 12 საათზე, სოფელ ბასილეთში წმიდა ვასილის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის და დაუვიწყარის

კირილე გაბრიელის ძე

კოპლატაძის

სულის მოსახსენებლად.

ქართული კლუბი

შაბათს, 14 ივნისს

დიდი კონცერტი

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ალეშკო, ვოლ-ლევიცკაია, ზალიპსკი, პოლიევვი და სხვ.

შესასვლელი ფასი 1 მან. 5 მან-დე. დასაწყისი საღ. 9 საათ.

2—105—1

პარასკევს, 13 თიბათვეს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება

დების თარხნიშვილების

საღამო კონცერტის განყოფილებით

პიესაში მონაწილეობას იღებენ თბილისის საუკეთესო ძალები. წარმოდგენილი იქნება ავქსენტი ცაგარელის 4 მოქმ. კომედია **ხანუმა** დივერტისმენტში: ილ. ზურაბიშვილი, ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი. კონცერტი მ. თარხნიშვილის ჯგუფი ძველ ქართულ-კახურ სიმღერებს საზანდარი გიგოს მეთაურობით მერო თარხნიშვილისა თარზე სოლო ძველ ქართულ ჰანგებს, სოლო ჭიანურზე ცნობილი მეჭიანურე სანდრო. ადგილების ფასი ჩვეულებრივი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(3—101—3)

ქართული სამუსიკო და საქველმოქმედო საზოგადოებანი

კონსერვატორიაში

პარასკევს, 13 თიბათვეს, გაიმართება

სასულიერო კონცერტი

ახალი ლიტურღია მესამედ

მუსიკა დ. არაყიშვილისა.

2—92—2

ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა

მე-2 ჩვეულებრივი საზოგადო

კრება

დანიშნულია 22 ივნისს 1919 წ. დილ. ს 1 ს.

ბანკის ბინაზე

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 8)

შემდეგი საქმეების გადასაწყვეტად რომლებიც ვერ გაირჩა 8 ივნისის კრებაზე აქციების საკმაო რიცხვის წარმოუდგენლობის გამო:

1 ძირითადი თანხის გადიდება.

2. ბანკის წესდების § 13 ს შეცვლა და დამატება.

გარდა ამისა იმავე კრებაზე უნდა ამორჩეულ იქნას გამგეობის წევრი ნაცვლად დ. ვ. ქუთათელაძის, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.

რადგან ეს კრება მეორეა, ამიტომ იგი კანონიერად ჩაითვლება იმის დამოუკიდებლათ, რამდენი აქცია იქნება წარმოდგენილი,

შენიშვნა. სახელდებული აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დავთარში არიან ჩაწერილნი შვიდი დღით საზოგადო კრების დღემდე. უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარმოდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკან აღარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიღებია შესანახად ანუ გირაოდ, როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქნეს ნაჩვენები აქციების ნომრები.

2 102—2

იყიდება

ორ სართულიანი სახლი 12 ოთახით

მე 7-დე უბანში, მარტყოფის ქუჩაზე 22. ცნობის მიღება შეიძლება საღამოს 7 საათიდან

(1—2436—1)

ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა

სააქციონერო საზოგადოება

რომლის წესდება დამტკიცებულია მთავრობისაგან, უკვე შეუდგა თავის მოქმედებას. საზოგადოება თავის მიზნათ ისახავს გაიტანოს საზღვარგარეთ მარგანეცი (შავი ქვა) და იმის მაგიერ შემოიტანოს საჭირო საქონელი და მიაწოდოს რესპუბლიკის მცხოვრებთ იმ პირობებში, რომ სპეკულიაციას ნიადაგი მოესპოს.

საზოგადოების გამგეობას იმედი აქვს, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებანი ხელს შეუწყობენ მას და მიაწოდებენ ცნობებს, თუ რამდენი და რაგვარი საქონელი ესაჭიროებათ.

მისამართი: 1. თბილისი—რუსთაველის პროსპეკტი სახლი № 19 შავი ქვის მრეწველთა საბჭო.

2. ჭიათურა საზოგადოების გამგეობა.

3. ბ თომი დიპლომატიური წარმომადგენელი გ. დ. ჟურული.

პატივისცემით **გამგეობა.**

(2—103—1)

მეორე ქართული კლუბი

(მიხეილის პრ. № 131)

13, 14 და 15 ივნისს ნაჩვენები იქნება პირველი ქართული

კინემატოგრაფიული არშიები:

I. დამფუძნებელი კრების გახსნის დღესასწაული.

II. სახალხო გვარდიის დღე საქართველოს დედა ქალაქში.

III. ქრისტინე

კინო-დრამა 4 მოქმედებად—ე. ნინოშვილის მოთხრობიდან. სცენარიუმი **ალ. წუწუნავასი.**

გამოცემა **გ. გოგიტიძისა.**

(3—104—1)

უკანასკნელი ცნობები

გერმანიაში დღეს დამარხავენ, როზა ლუქსემბურგის გვამს, მოელიან კომუნისტ მუშათა გაფიცვას.

გერმანელთა საპასუხო წინადადებაზე მოკავშირენი ჯერ ვერ შეთანხმებულან.

ჩეხო-სლოვაკთა დასახმარებლად მოკავშირენი ჯარს არ ჰგზავნიან, რადგან მათი ცნობით ჩეხებში ბოლშევიზმი იზრდება.

ბოლშევიკებმა ბერდანსკი დასტოვეს, ხოლო პსკოვის 12 ვერსის მოშორებით მოპირდაპირესთან ბრძოლა აქვთ.

საფრანგეთში და იტალიაში სოციალური უწესრიგობა იზრდება.

უკრაინის ჯარის სარდალი მახნო ბოლშევიკებმა დალატისათვის გადააყენეს.

კავკასიის კონფერენცია და სომხები

ქართულ საზოგადოებამ არც კი იცის, რომ თბილისში უკვე რამდენიმე კვირაა მუშაობს კავკასიის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ოფიციალური კონფერენცია. ეს გარემოება აიხსნება ერთის მხრივ იმით, რომ მეტად უხალისოდ და შედეგების გაუთვალისწინებლად ეპყრობიან კონფერენციის საგანს მონაწილენი, ხოლო მეორის მხრივ ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო დამოკიდებულებაში და კერძოდ კავკასიის სახელმწიფოთა საგარეო მდგომარეობაში ისეთმა თვალსაჩინო და მასთანავე სახიფათო მოვლენამ იჩინა თავი, რომ საზოგადოებაც ნაკლების ინტერესით თვალყურს ადევნებს კონფერენციის მოღვაწეობას.

ვიწრო მიზნით მოწვეული თათბირი, როგორც მოსალოდნელი იყო, იძულებული შეიქმნა სამუშაო გეგმა გაეფართოებინა და უმთავრეს გადასაჭრელ საგნად მიეჩნია ტერიტორიის საკითხი, ესე იგი, ის საკითხი, რომლის ამ ჟამად გადაწყვეტას ყველაზედ მეტად გაურბოდნენ თითქმის ყველა სახელმწიფოთა მმართველი წრეები. გარდა ამისა, კონფერენცია შიგა და შიგ უდიდეს პოლიტიკურ საკითხებსაც ეხება და სათანადო აქტებით წარმოდგენილ ოთხ სახელმწიფოთა ერთგვარ ცენტრალურ დაწესებულების მნიშვნელობას იკუთვნებს.

ამ წერილის მიზანს კონფერენციის მოღვაწეობის ანალიზი არ შეადგენს,— ამისათვის ხელთ არ მოგვეპოვება საკმაო ოფიციალური ცნობები—ჩვენ საპიროდ მიგვაჩნია დღეს შევჩერდეთ კონფერენციის პლენუმის უკანასკნელ სხდომებზე, რაზედაც განსახილველად წარმოდგენილი იყო საკითხი მოხალისე არმიის მოსალოდნელ თავდასხმაში თავდაცვის საშუალების გამოძებნისა.

კონფერენციისაგან ამ მხრივ რაიმე სენსაციურ აქტს არ მოველოდით, რადგანაც წინდაწინვე სხვა და სხვა გზითა და ღონისძიებით ნავარაუდევი იყო კავკასიის თვითოელ პოლიტიკურ ერთეულის გარკვეული შეხედულება იმპერიალისტურ რუსეთის უკანასკნელ საქციელზე და, მაშასადამე, მათი პრაქტიკული მოქმედებაც, რომლისაც რუსეთის საფრთხე სინამდვილეში მოევლინება განთავისუფლებულ მცირე სახელმწიფოებს. კონფერენცია მხოლოდ ოფიციალურად დაადასტურებდა იმას, რაც ყველასთვის დიდი ხანია აშკარაა და არც რაიმე რეალურ დასაბუთებას ითხოვს.

კონფერენციას მოეხსენდა გენერალ დენიკინის ჯარის მიერ მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დაპყრობის ამბავი და მისი დაუფარავი განზრახვა ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფოების პოლიტიკურ დამოუკიდებლობის სრული მოსპობა. საქართველოს, აზერბაიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკების წარმომადგენელნი ეჭვის დაუბადებლად გამოსთქვამდნენ ამ რესპუბლიკათა ხალხის საბოლოო გარდაწყვეტილებას დიდმპყრობელ რუსეთის შავი ლაშქარის მოქმედების გამო და აცხადებდნენ, რომ განრისხებული ხალხი საშუალებას არ მისცემს თვითმპყრობელობის აგენტებს ინავარდონ მონობისაგან თავდახწეულ ქვეყნებში, და ისინი, ვინც ყოველთვის განზე იდგნენ საერთო საქმისგან და მხოლოდ [illegible] ყოფაქცევით აღბეჭდეს ხან მოკლე მანძილი დამოუკიდებელი ცხოვრებისა, ამ შემთხვევაშიც ბრწყინვალედ განმარტოებულნი დარჩნენ...

გუშინდელ მეთაურში გაკვრით შევეხეთ ამ ალმაცერთებელ მოვლენას; ტიგრანიანცების ნილაბ ახდილი განცხადება მხოლოდ უფრო მოურიდებელი გამომხეურებაა სომხების გზაბნეულ პოლიტიკისა. ჩვენთვის აქ გასაოცებელი არაფერია, გარდა იმისა, რომ ეს ხალხი სისტემატიურად და შეგნებულად აწარმოებს თავის სამუდამო [illegible] პოლიტიკას.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილით, ყოველ დღიური ფაქტებით მტკიცდება სომხეთის განუსაზღვრელი კეთილი განწყობილება დასაპყრობად მოდენილ შავი ლაშქრისადმი, მიუხედავად იმისა, რომ დენიკინის ჯარის მიერ მცირე ერთა დაპყრობაში თვით სომხის შეიარაღებული ძალები აქტიურად მოქმედებენ, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები, — სომხები მაინც არ ამჟღავნებენ ამას და სხვა და სხვა „მოსაზრებებით“ ამართლებენ თავის მოღალატურ და ერთსა და იმავ დროს მონურ სულისკვეთებას...

კონფერენციაზე სომხეთის რწმუნებულის არგუმენტაცია ხომ პირდაპირ სამარცხვინო გამოდგა. „გაერთიანებულ სომხეთის“ საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანცი თავის მთავრობის „ნეიტრალურ“ პოლიტიკას უმთავრესად იმ გარემოებით „ასაბუთებდა“, რომ შეუძლებელია სომხის ხალხის ამ დავაში ჩარევა, ვიდრე კარდინალური საკითხი ამიერკავკასიის სახელმწიფოების ურთიერთ დამოკიდებულებისა — ტერიტორიული გამიჯვნა — დამთავრებულად არ ჩაითვლება და სომხეთი ამ მხრივ დაკმაყოფილებას არ მიიღებს...

ეს რომ იეზუიტურ პოლიტიკის უმწვერვალესი გამოსახვაა, მგონი, აშკარაა, რაგრამ სომხის პოლიტიკოსებს დაავიწყდათ, რომ იეზუიტიზმიც ჰკვის მოქნევას მოითხოვს და სასაცილო და უმწეო არგუმენტით საქვეყნოდ უხერხულია ს რეილისტობის გამოჩენა!

ვის არა აქვს ტერიტორიული დავა? იქნებ, სომხის პოლიტიკოსებს ჰგონიათ, რომ საქართველოს მიწა—წყალი ისე მტკიცედაა ამოხაზული და ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობაც სავსებით დაკმაყოფილებული, რომ ჩვენს ხალხს მარტოლა ხმლის ქნევა დაჰრჩენია მეზობლების გამოსაქომაგებლად!? სადაო საგანი ბევრი გვაქვს და ბევრთანაც, მაგრამ, როდესაც კეთილშობილებასთან ერთად საერთო მყუდროების განმტკიცება უცილობლად მოითხოვს თავხედი მტრის შეერთებულის ღონით მოგერიებას, საქართველოს ხალხი გამოდმა არავის გამოედევება „ეროვნული თავმოყვარეობის“ ალსადგენათ! მოტივი დამაჯერებელ ერთ ელემენტს მაინც უნდა შეიცავდეს, რომ იგი კამრიზად და შავ განზრახვად არ გარდიქმნეს... და ჩვენთვის ხომ ცხადია მდიდარი წარსულიდან, რომ სომხეთის პოლიტიკა მუდამ ორმაგი და ცინიკური ყოფილა! ამაში ბოლო დროს ჩვენი გულუბრყვილო სოციალისტებიც დარწმუნდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენთვის ზურგში მოღალატურად მახვილის ჩამცემთა პირველ რიგში „ერთობა“ დღესაც დაშნაკელებს ჰგულისხმობს და ის კი ვერ შეუგნია, რომ დაშნაკცუტიუნი დღეს სომხობის იგივეობაა.

თითქოს განგებ ამ განმწვავებულ დროისთვის სომხურ პრესაში „კავკაზსკოე სლოვო“-ს მეთაურობით ნერვიული წერილები თავსდება სწორედ ტერიტორიულ საკითხზე. „კავკაზსკოე სლოვო“ მეთაურებში ამაღელვებელ სტრიქონებს სწერს ყარაბახის მდგომარეობაზე. აზერბაიჯანის მმართველ წრეების დაბეზღებით გაზეთი ინგლისის თანაგრძნობასა და დახმარებას მოელის და „სომხის ხალხის მორალურ და მატერიულ ძალთა „ციტადელს“ ირრედენტად აცხადებს!

ასეთი პოლიტიკა თავიდანვე დასამარებულად ჩასათვლელია! საკითხავია: ყველაფერი აწონ-დაწონილი აქვს სხვა შემთხვევებში ფრთხილ და მოანგარიშე ერს!? წყლის განუზომლად, ფონს ვერვინ გასულა...

კონფერენციაზე ბ-ნი ტიგრანიანცი აცხადებდა, რომ დენიკინის ჯარის საფრთხის გამო სომხეთის მთავრობის აზრი ჯერ ვერ შეუტყვია, ხოლო მის გარდა ყველამ იმ თავითვე უწყოდა არამც თუ ოფიციალურ მთავრობის „აზრი“,—მთელი სომხეთის საბოლოო გარდაწყვეტილებაც შეთვისებული ჰქონდა: სომხეთი დენიკინის ჯართან იქნება ამიერ-კავკასიის სახელმწიფოების წინააღმდეგ!

ბრძოლად მიმავალი ქართველობა უნდა ჰგრძნობდეს, რომ მის ზურგს უკან მყოფ სახელმწიფოსაგან ყოველ წუთს მოსალოდნელია მუხანათური ჩაკვრა. მოხალისე ბრბოების წინ წამოწევისას ჩვენი ჯარი მყისვე ორად უნდა გაიყოს და ერთი მათგანი სამხრეთის ფრონტზე დადგეს, გენერალ დენიკინის ჯარის სომხურ განყოფილების მოსაგერიებლად.

მთავრობის ცნობები

5 ივნისის სხდომა

სასჯელის პატიება

ნაპოლეონ არტემის ძე დემურალოვის თხოვნა სასჯელის პატიების შესახებ შეწყნარებულ იქნა.

უარი სასჯელის შესახებ

ისტატე გრიგოლის ძე ნინიკაშვილის სიკვდილის დასჯის პატიების შესახებ უყურადღებოდ იქმნას დატოვებული.

10 მილ. სესხი ქალაქს.

პრინციპიალურად მიღებულ იქმნას ქ. თბილისის თვითმართველობისთვის 10 მილ. მანეთის სესხად მიცემა ქალაქის უძრავ ქონების დაგირავებით. სათანადო დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

კანონ-პროექტი.

კანონ-პროექტი სამრეწველო საქონელზე გადასახადის გადიდებისა გადაეცეს ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის.

არქივის დაარსება.

მოხსენება ადმინისტრაციის ინსპექტორის ქუთათური თანაშემწის კანცელარიასი არქივის დაარსების შესახებ მოწონებულ იქმნას და სათანადო დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას.

სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვა.

1) 1919 წლის 1 ივნისიდან 1919—20 წლის ბიუჯეტის პროექტის საკანონმდებლო წესით დამტკიცებამდე, გაიხსნას ყოველ თვიურათ სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ, თანახმათ თანდართულ ნუსხისა, ერთი მეთორმეტე ნაწილი იმ ჯამისა, რომელიც აღრიცხულია ხსენებული ბიუჯეტის პროექტით.

2) დროებითი გასავლის კრედიტების ნუსხის მიხედვით (კან. 1919 წ. 31 იანვრ. საქართველოს რესპ. N141) გახსნილი კრედიტებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ თვიური დამატებითი კრედიტების (კან. 1919 წ. 20 მაისისა მუხ. 2 საქართვ. რესპ № 116) ნაშთი დაიხუროს 1919 1 ივნისს.

3) 10 და 25 მილიონიან ფონდიდან მიღებული კრედიტების ხარჯვის უფლება გაგრძელდეს სამი თვით 1919 წ. 1 ივნისიდან 1 სექტემბრამდე.

4) საალმშენებლო მიზნებისათვის გახსნილი კრედიტების მოქმედება და ხარჯვის უფლება გაგრძელდეს 1920 წლ. 1 იანვრამდე.

5) 31 მაისამდე თანჩართვით სახარჯოთ გამოწერილ ასიგნობათა განაღდება არ მომხდარა ფულის ნიშნების უქონლობის გამო, გაგრძელდეს 1919 წ. 1 სექტემბრამდე.

6) გაიცეს სახალხო გვარდიის განკარგულებაში ყოველთვიურათ 4 მილიონი მანეთი.

დებულების და შტატების პროექტი.

1. დებულების პროექტი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის საბჭოს შესახებ მოწონებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

2. სახელმწიფო კონტროლის დასკვნის თანახმად საბჭოს მდივნას წლიურად დაენიშნოს ჯამაგირათ 18.000 მან მაგიერ 10.000 მან. საქმის მწარმოებელს თითეულს 12.000 მ. მაგიერ 8.4000 მ. ამ რიგად გამოთხოვნილ იქმნას ყოველ წლიურად კრედიტი საბჭოს ხარჯების დასაფარავად 149.600 მან.

3: საბჭოს დებულება შემოღებულ იქმნას 1919 წ. 1 აპრილიდან.

4, ვინაიდან საბჭოს მოქმედების გახსნა საჭიროა, დებულება განხორციელებულ იქმნას დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებამდე და 10 მილიონიან ფონდიდან გახსნილ იქმნას 24.932 მ. 33 კ. კრედიტი საბჭოს ორი თვის შესანახი ხარჯების დასაფარავად.

მუსულმანთა სკოლების ინსპექტორი.

მოხსენებანი განათლების მინისტრისა მუსულმანთა სკოლებისათვის ინსპექტორის დანიშვნის შესახებ გადაეცეს ფინანსთა მინისტრს და სახელმწიფო კონტროლიორს დასკვნისათვის.

პედაგოგიური ინსტიტუტი.

განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილ დებულებიდან ამოღებულ იქმნას მეორე მუხლი: „პედაგოგიური ინსტიტუტის“ საჭიროებისათვის გადაეცეს სახელმწიფო უნივერსიტეტს „თბილისის საოსტატო ინსტიტუტის“ შენობა და მთელი ქონება ამ შესწორებით ეს დებულება და შტატებით გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

კრედიტების აღდგენა

წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს აღდგენილ იქმნას კრედიტები რომელნიც დაიხურა 31 მაისს, რადგან ასიგნოვკები არ მართლდებოდნენ ფულის ნიშნების ნაკლულებობის გამო. ეს დადგენილება გავრცელდეს როგორც სამხედრო ისე სხვა და სხვა უწყებაზე.

შრომის უნარ დაკარგულ სამხედრო პირთ დახმარება

გადაიდოს სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში სამხედრო 25 მილიონიან ფონდიდად 100000 მანეთი შრომის უნარ დაკარგულ ჯარისკაცთა, აფიცერთა და ოჯახების დასახმარებლათ. ეს დადგენილება სისრულეში იქმნას მოყვანილი ჟურნალის დამტკიცებამდე.

სამხედრო ცენზორებს

გაუქმებულ სამხედრო საცენზორო დაწესებულებათა ცენზორებს მიეცეთ საკრედიტო მოწმობა რუსეთის ხაზინაზე.

წითელ ჯვრისათვის

1. თანახმად სახელმწიფო კონტროლიორის დასკვნისა მიღებულ იქმნას რკინის გზის ბილეთების დაბეგვრა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ შემდეგი ნორმით. მესამე კლასის ბილეთი 25 კ. მეორესი 75 კ. და პირველ კლასის 1 მანეთით.

2. ამ სახის დეკრეტი წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შინაგან საქმეთა მინისტრმა.

3 საკითხი თეატრ კინემატოგრაფისა და სხვა გასართობთა ბილეთების დაბეგვრის შესახებ გადაიდოს.

დამატებით ჯამაგირები

გადაიდოს მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 10 მილიონიან ფონდიდან 14960 მანეთი ქიმიურ ლაბორატორის პირად შემადგენლობის დამატებითი ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად 1 იანვრიდან 1 ივნისამდე 1919 წლისა

კანონპროექტი

კანონპროექტი ცხენის წყალის ნაპირების გასამაგრებლად 66.000 მანეთის გაღების შესახებ მოწონებულ იქმნას და გადასცეს დამფუძნებელ კრებას,

კრედიტის გახსნა

მოხსენება გზათა დეპარტამენტის დირექტორისა 290.089 მ. და 25 კ. კრედიტის გახსნის შესახებ რკინის გზაზე წინწლებთან სახალთან საბრძოლველად მოწონებულ იქმნას და სათანადო კანონ-პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

პარიზი

ამ დღეებში პარიზიდან ჩამოვიდა ერთ-ერთ სახელმწიფოს დელეგაციის წევრი ბ-ნი X. ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა პარიზის შესახებ.

— თქვენ მეკითხებით თუ რა ყოფაშია დღევანდელი პარიზი?.. დაიწყო დელეგატმა—პარიზს გამოცოცხლება არამც თუ დაეტყო, თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ქალაქს, არც ძველი მსოფლიოს არც ახალისას არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთისას არ დაუტევია იმდენი ხალხი და არ ანთებულა იმნაირ ცეცხლით რითაც ავარვარებულია დღეს პარიზი,

პარიზმა თვისი სახე შეიცვალა. ინგლისელები და ამერიკელები სრულიად უკარგავენ ძველ „პარიზულ“ ფერს და გეჩვენება თითქოს პარიზი ფრანგული არასოდეს არ შეიქმნება.

პარიზის საქმიანობა.

პარიზი დაემსგავსა საქმიან ქალაქებს, მრავლად გაიხსნა მაღაზიები, კანტორები, სავაჭრო სახლები და ამ მხრით ადარ ჩამოუვარდება ნიუ-იორკს, ჩიკაგოს, ფილადელფიის და სხვათა. დილიდან ხალხი განუწყვეტლივ მიემგზავრება თავიანთ საქმეებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტ ყურადღებას ამ მხრით იპყრობს დელეგატებთან ჩამოსული კორესპონდენტები, რომელთა საქმიანობა და შრომა დელეგატებზე მეტია დილიდანსაღამომდის დელეგატებს უსადილოდ უცდიან, რომელიმე დეპარტამენტის კარებთან, საზავო კონგრესის დარბაზის კარებთან ატუზულნი გამოსულ დელეგატებს სახეში შესცქერიან, რომ მათ გამომეტყველებით გაიგონ თუ რა შედეგი მოჰყვა გადასაჭრელად აღძრულ საკითხს.

დელეგაციები.

ერთი ორი სიტყვა უნდა ითქვას თვით ამ დელეგატებზე და დელეგაციის შემადგენლობებზე. დეპეშები გვამცნობდა ხოლმე გვარებს მომავალ დელეგატებისას და როდესაც ჩამოვიდოდნენ ვნახავდით რომ 3 ან 4 მოხსენებულ დელეგატის მაგიერ 300 ან 400 კაცი ჩამობრძანდებოდა, რომელნიც კალიასავით მოედებოდნენ ხოლმე ქალაქს, რაღაცას სწერდნენ და თავიანთ სამშობლოში ჰგზავნიდნენ

დღეს პარიზი ერთა ცოცხალი მუზეუმია. რა ეროვნების და რასის ხალხი არ არიან დღეს იქ, მოყოლებული ბრიტანეთის კუნძულიდან და ამერიკის აღმოსავლეთის კონცხით გათავებული.

ყურადღებას იქცევენ ახლო აღმოსავლეთის დეპუტატები ათოვლილ თეთრ ჩალმებით. ბევრს ლაპარაკობენ აგრეთვე საქართველოს დელეგაციაზედაც რომელნიც განუწყვეტლივ კრებებსა ჰმართავენ, პარლამენტის სოციალისტურ ფრაქციასთან ერთად. იტალიელთა დელეგატების წასვლამ და დაბრუნებამ მათ ჩამოსვლას დღესასწაულებრივი ხასიათი მისცა.

საღამო

პარიზის ეს 3 მილიონი სტუმარი საღამო ხანს ეძლევა გართობას გასართობი ადგილები თეატრები, სინემატოგრაფები და კაფეები ისე არას დროს ყოფილან გაცხოველებულნი როგორც ეხლა. თეატრებში იდგმება ფრანგთა საყვარელი პიესები და დრამები. ბოლო დროს საზოგადოება მრავლად ესწრობოდა რამოდენიმე ჯერ გამეორებულ პიესას „არწივის ბახალი“, რომელიც აქ თბილისშიაც მრავლად იზიდავს ხალხს.

მრავლად არის გახსნილი აგრეთვე კინემატოგრაფები სადაც უმეტესად აჩვენებენ პროგრამის გარეშე, ეპიზოდებს ფოშის შეტევიდან და სურათების სერიას რომელსაც სათაურად „გერმანელთა სიმხეცე“ ჰქვიან და რომელნიც ქალაქთა ნანგრევების, უპატრონოდ დარჩენილ ხალხის და სხვათა სურათებს წარმოადგენენ.

ამ მხრივ პარიზის კინემატოგრაფი დიდ სამსახურს უწევს მოკავშირეებს რადგან ასეთ სურათების სანახავად მრავლად დადიან უცხო დელეგატები.

კაფეები ისევ ძველ ძველ პარიზულ სახეს იღებენ. მრავლად იხარჯება ქონება. აღსანიშნავია რომ პარიზელ ქალების ადგილს კაფეებში დღეს ამერიკული ქალები იჭერენ, რომელნიც ბუზებივით არიან მოდებულნი მთელ პარიზს.

ქ უ ჩ ე ბ შ ი

ქუჩებში მრავლად შეხვდებით გარიდან დათხოვილ ჯარისკაცებს, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა ზანგები არიან. ამ ოთხ წელიწადში ისე მიეჩვიენ სამსახურს რომ ბევრს მათგანს სურს ისევ დარჩეს საფრანგეთის ჯარის სამსახურში.

ყოველ დღე მრავალად იკრიბებიან ქუჩებში მუშები და ჩამოსული კორესპონდენტები, რომლებიც ადგილობრივ პოლიციას ჭირივით ეზარება. იმართება ხოლმე კამათი და სხვა. აღსანიშნავია ორი სიტყვით თვით ამ კორესპონდენტების მუშაობაც. მათ არაფერი არ იციან დანამდვილებით ისე ვით არავინ გარდა სამი ადამიანისა, ისინი დარბიან ხან ერთს ეკითხებიან, ხან მეორეს, აქცევენ ყურადღებას უბრალო მოქმედებას, იმას რა ფერი სუფრა არის გადაფარებული მაგიდაზე, იმას თუ ვინ როგორ ჩამოართვა ვის ხელი და სხვა.

ხალხში დიდ გავლენას ახდენს გერმანელთა დინჯი და შეურყეველი მოქმედება. პარიზის მაისის სიმპატია გერმანელთა მხარეს არის.

გამოფენები და მუზეუმები

ბოლო დროს პარიზში მეტად საინტერესო გამოფენები იმართება, უკანასკნელმა სურათების გამოფენამ დიდ ძალი ხალხი მიიზიდა. პარიზის მუზეუმი ნელ-ნელა ისევ იკრებს თავის ძველ ისტორიულ განძებს, რომელნიც ზოგი სხვა ქალაქებში იყო გადატანილი და ზოგიც გერმანელთა ყუმბარებისაგან გადამალული.

„მ ო დ ე ბ ი“

მოდებიც ახლად აღორძინდა. შესამჩნევია ის გარემოება რომ ამ მხრით პარიზს თითქოს ეს ოთხი წლის ჭირი არც კი ეტყობა. ისევ ძველებური უზრუნველი „მოდების“ ძიება, ორიგინალობის შექმნა და სხვა. დილით პარიზელები თერთად არიან გადაპენტილნი საღამოს კი მათი ტანისამოსი მინორული ხასიათისაა.

საერთო შთაბეჭდილება

საერთო შთაბეჭდილება პარიზზე ასეთი დამრჩა რომ იგი ისევ იმ გზით წავა რომლითაც მიდიოდა, აუარებელი ინგლისელი და ამერიკელი სტუმრები მას ვერ აღკვეთს [illegible] სიათ და ისინიც მკვდარ პარიზელებთან ერთად განუწყვეტლად გასართობ ადგილებში ატარებენ დროს.

ჩვენი აზრით დიდხანს [illegible] პარიზი თავის გამარჯვების მორევში იხრჩობა.

დაუცვათ ჩვენი ფული!

არ გვგონია კარგის თქმა ჩვენი მთავრობაზე, კარგის თქმა იქნებოდა თვით საქართველოზე და ამა საქართველოს კარგისა და ღირსების აღინიშნა ჩვენთვის დიდი მორალური კმაყოფილება არის და იქნება სამუდამოდ. მაგრამ საქართველოს მთავრობაზე ამ კარგის თქმა არ შეგვიძლია და ეს კი საქართველოს ტრადიციული ღირსების ვერც შეცნობა, რადგან მთავრობის ხალხმა და მთავრობის პარტიამ ოცი წლის განმავლობაში პროპაგანდით თავი დაანება საქართველოს ისტორიულ ცხოვრებას და მის ეროვნულ სულის უძღვებას; ხოლო ამ ერთი წლის მოღვაწეობა საქართველოს იძულებით მიღებულ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, საკმაო მანძილი არ არის რომ მათ [illegible] ერის სული [illegible], მისი [illegible] ტრადიციული [illegible] და მისი უძღვებების [illegible] გამარჯვება. ამიტომაც [illegible] ის მარცხი, ის უთავრიგობა და ნაკლი სახელმწიფოებრივი უსუსურობა, რომელიც ჩვენი მთავრობის [illegible] და [illegible] ორგანიზებულ [illegible] იმ პრინციპის და დოგმისაგან, რომელსაც აღიარებდა [illegible] ჩვენი მთავრობის ხალხი და საქართველოს მთავრობა მარქსისტი პარტია; ეს ნაკლი მათი დოქტრინის, მათი სქემის და საქართველო [illegible] მკვდარი დოგმის, მკვდარი ფორმულის. მაინც იმედი გვაქვს, რომ ერის ცხოველმყოფლობა და მისი სულის გრძნობა და ინსტინქტი გაიმარჯვებს და მთავრობასაც ისე გარდაქმნის [illegible] პრინციპით, ან ისეთ მთავრობას გამოჩენს, რომელიც [illegible] ორგანიულად შეხორცებული იქნება თვითე ერის ისტორიულ [illegible] არსებობასთან. და ყოველთვის, როდესაც მთავრობის შესახებ [illegible] თქმა მოგვიწევს, [illegible] დაახლოებით.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე [illegible] უფრო [illegible], ვიდრე წინდახედულ [illegible] პოლიტიკა და [illegible]. ბევრი დარგი სახელმწიფო ცხოვრების სრულიად [illegible] არის დატოვებული და [illegible]. რასაც ყურადღება მიექცა და რის მოწყობაც [illegible], ისიც ვერ [illegible].

ინერციის კანონი მარტო ფიზიკაში კი არ მოქმედებს, არამედ კაცთა საზოგადოებაში, სოციალურ ფიზიკაშიც. ინერციით ცხოვრობს [illegible] ერთი წლის წინათ [illegible] ჩვენი სამშობლო. მაგრამ ინერცია [illegible] იმ მიზნის მისაღწევად, რომელსაც [illegible] და [illegible] ეროვნულ [illegible] მთავრობას, ალიაო მთავრობის ძალა [illegible].

რა გაკეთდა ამ ერთი წლის, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. [illegible] ჩვენი ფულის [illegible] ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიური [illegible] და საქართველოს [illegible] ჩვენი დამოუკიდებლობის.

ქენი მტრები დაინტერესებული ან ამ იარაღს ისე გაუტეხონ სახე, რომ მისი ხელში დაჭერა არამც სხვას, არამედ თვით ქართველ ალხსაც ეთაკილებოდეს. ათასი ხელოვნური საშუალებით, სპეკულიატიურ აჟიოტაჟით ჩვენი ფულის ფასს ძირს სცემენ. ბათომში და თბილისში მთელი ორგანიზაციებია—გამართული ამ მიზნით და კიდევაც აღწევენ გულის წადილს. ნიკოლოზის ასი მანეთიანი ჩვენი ბონით 360 მანეთად ფასობს დღეს, კერენსკის ათას მანეთიანი—ორ ათას ოთხას მანეთად, და ეს ასე მიდის პროგრესიულად. ცხადია, ამას არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს

ანარქიით მოცული და ვალით დატვირთული რუსეთი ყოველგვარ საშუალებას მოკლებულია მიმდინარე ეკონომიურ ცხოვრებაში ჩაებას და საერთაშორისო ბაზარზე რამე გაიტანოს, რომ საქონლით ზურგი გაუმაგროს იმ ქაღალდის ფულს, რომელიც მარტო ბოლშევიკებმა ას მილიონზე მეტი მოსჭრეს, კერენსკის თუ ნიკოლოზის ფული. ამ მხრივ საქართველო გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. ჩვენი შავი ქვა უკვე გავიდა ევროპის ბაზარზე და სულ მოკლე ხანში მოსალოდნელია სისტემატიური გატანის მოწყობა იმავე შავი ქვის დიდის მასშტაბით და აგრეთვე სხვა საქონლისაც. ამ მხრივ ჩვენს ბონებს გაცილებით მეტი წელი მოსდევს და მეტი სიმტკიცე აქვთ. ბაქოს ნავთი ხომ უძლიერესი საწინდარია ამ ბონების სიმაგრისა. მაშასადამე არა თავის ნამდვილის ღირებულებით გვცემს და გვამარცხებს საქართ. სამზღვრებში კერენკა და ნიკოლაევკა, არამედ მოხერხებით, ხელოვნურათ აჟიოტაჟით და პანიკით, რომელიც პოლიტიკური მიზნით არის წარმოებული. დღეს ინგლისის გირვანქა სტერლინგი, გაცილებით ლმობიერად ეპყრობა ნამდვილის ღირებულებით ჩვენსბონებზე დაბლა მდგარ ლენინის მიერ მოჭრილ ნიკოლოზის და კერენსკის ბონებს. გირვანქა სტერლინგი დღეს სამას მანეთად ფასობს. ხვალ ხუთასი და ზეგ ექვსასი მანეთად რომ გამოცხადდეს გასაკვირი არ უნდა იყოს ყველაფერი ეს ხდება იმიტომ რომ ჩვენს მთავრობას დღიდან ტახტზეაბრძანებისა დღემდე, **არავითარი ღონისძიება არ მიიღია ჩვენი ფულის დასაცავად.** ყველას შეუძლია ისპეკულიაციოს, და თავ-თავის დახლებში ახურდაოს სტერლინგი თუ ნიკოლოზის ფული. სრული მოუწესრიგებლობა და ანარქიაა, რასაც მტრები იყენებენ ჩვენი ფულის დასაცემად! მთავრობას ასეთი სიჩუმე და უმოქმედობა ნამდვილი დანაშაულია. მთავრობამ ფულის დახურდავება ოფიციალურ კანტროლის ქვეშ რომ მოაქციოს და კერძო სპეკულიანტების წინაამდეგ მკაცრი ზომები მიიღოს, ცხადია შემცირდება. ქვეყანას გული მოეცემა, რომ მის ფულის ღირებულებას მფარველი და დამცველი ეყოლება მთავრობის სახით. ეს პალიატივია, მაგრ ამ იგი ბრძოლის იარაღია, თავდაცვის ფაქტორია და მთავრობა ვალდებულია ყოველი იარაღი და ზომა გამოიყენოს ამ მიზნით. თორემ თუ უპატრონო ქვეყანას დავემსგავსეთ, სადაც ყოველი გამვლელ-გამომვლელი ქართველ ხალხს დაუსჯელად ძარცვავს და ატყავებს!

დავიცვათ ჩვენი ფული!

პარტიის მესამე კონფერენცია

გაიხსნება 21 თიბათვეს, დაიხურება 23-ს.

სხდომები **სწარმოებს** დილა-საღამოობით. დილით—10-ან 2 საათამდე, საღამოთი—5-ან—9 საათამდე

მუშაობის პროგრამა

პირველი დღე 21 თიბათვე

დილის სხდომა. სხდომას გახსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე. მდივნობს—მთავარი კომიტეტის მდივანი.

კონფერენცია ირჩევს თვის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს და მის ამხანაგებს, მდივანს და მის ამხანაგებს.

კრება ირჩევს სამანდატო კომისიას, რომელსაც ევალება საღამოს სხდომის დაწყებამდე მანდატების შემოწმება.

კრება ირჩევს სარეგლამენტო კომისიას, რომელსაც ევალება მთავარი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი საკონფერენციო რეგლამენტის განხილვა და თავის შენიშვნებით მისი წარმოდგენა საღამოს სხდომისათვის. კომისიების არჩევით დილის სხდომა დაიხურება. შემდეგი ინიშნება საღამოს.

საღამოს სხდომა სხდომას ხსნის კონფერენციის თავმჯდომარე ან მისი ერთ-ერთი ამხანაგი. მდივნობენ არჩეული მდივნები. კონფერენციას მოხსენდება:

1. მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში. მომხსენებელია **იოს. მაჭავარიანი.**
2. პარტიული მუშაობა ადგილობრივ. მომხსენებლებია ჩამოსული დელეგატები.
3. პარტიული მდგომარეობა. მომხსენებელია **რ. ინგილო**

მეორე დღე 22 თიბათვე

დილის სხდომა. კონფერენციას მოხსენდება:

1. საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელია **გ. გვაზავა**
2. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: ა) პოლიტიკური ნაწილი. მომხსენებელია **გ. გვაზავა.**
ბ. ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა—მემხსენებლებია **ნ. ნიკოლაძე და იასონ ლორთქიფანიძე.**
3. საქართველოს ეკონომიური პრესპექტივები. მომხსენებელია **ს. დანელია.**

საღამოს სხდომა. 1. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: გ) აგრარული პოლიტიკა. მომხსენებელია **ა. ახათიანი.** დ) მუშათა საკითხი. მომხსენებელია **ა. ასათიანი.**

2. საქართველოს ტერიტორია. მომხსენებელია **ექ. თაყაიშვილი.**

მესამე დღე 23 თიბათვე

დილის სხდომა. 1. საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოკტრინა და სინამდვილე. მომხსენებელია **სპ. კედია.**

2. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებელია **პ. სურგულაძე.**

3. თვითმართველობები. მომხსენებელია **პ. გოთუა.**

საღამოს სხდომა 1. საქართველოს მხედრობა. მ. პეტრე სურგულაძე.

2. **წესდება და საორგანიზაციო** მუშაობა. მომხსენებელია **ს. დანელია.**

3. კომიტეტის არჩევა.

ყოველი მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი მიიღება რეზოლუცია.

დელეგატები აირჩევიან ხუთას წევრზე თითო.

ორგანიზაცია, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, გზავნის ერთ დელეგატს.

დელეგატს უნდა ჰქონდეს სათანადოთ შედგენილი მანდატი,

დელეგატის მთელ ხარჯს კისრულობს გამომგზავნი ორგანიზაცია.

მთავარი კომიტეტი.

ქრონიკა

◆ **ხალხთა ლიგის ხელშეკრულების ტექსტი.** საქართ. რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ და პრეს-ბიურომ პარიზიდან მიიღო ხალხთა ლიგის ხელშეკრულობის მთელი ტექსტი. რომელიც 22 მუხლისაგან შესდგება, ხელშეკრულება დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში.

◆ **გერმანელთა ლაზარეთის გაჩხრეკა ინგლისელ ჯარისკაცთაგან.** 11 ივნისს მილიციის სამართველოს აცნობეს, რომ გერმანელთა ლაზარეთში შესულან 3 ინგლისელი ჯარის კაცი გაუჩხრეკიათ ლაზარეთი, წაუღიათ საჭიროებისათვის იქ მყოფი საქართველოს მთავრობის კუთვნილი იარაღი, დაუპატიმრებიათ მორიგი უფროსი ექიმი და სხ.

◆ **ქართული მარკები.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ბრძანება გასცა, რომ ამიერიდან ყველა თხოვნები და განცხადებები, ქართული მარკებით უნდა ილვეებოდეს

◆ **მოძრავი გამოფენა.** მხატვარ მოსე თოიძის ინიციატორობით ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა, რომელიც ამ დღეებში თბილისში დაიხურა, საქართველოს თითქმის ყველა ქალაქებში მოეწყობა.

◆ **ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობისათვის.** თბილისის მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის მუშათა კონფერენციის ერთსულოვნების დარღვევის თავიდან ასაცილებლად დაადგინა წინადადება მიეცეს ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმს, რომ მან დეკლარაციის საშუალებით გამოსთქვას თავისი დამოკიდებულება საქართველოს მთავრობასა და დამფუძნებელ კრებისადმი. ეს დადგენილება უკვე ეცნობა ბაქოს მუშათა კონფერ. პრეზიდიუმს, კონფერენციის წინასწარი კომისია უცდის ბაქოდან პასუხს, ურომლისოდაც მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია.

◆ **დანიშვნა.** თბილისის საგუბერნიო ბატალიონის უფროსად ი. ს. სოლოღაშვილი დაინიშნა.

ბოროტ-მოქმედებანი.

◆ **ქურდობა.** 16 ივნისს ღამე პავლე თედ. ბირენკინის ბინიდან (გუნიბის ქ. № 25) ბოროტმოქმედებმა 10.000 მანეთის სხ. და სხ. ძვირფასი ნივთები მოიპარეს.

◆ **სროლა.** 11 ივნისს ღამით სიონის ქუჩაზე უცნობმა პირებმა ასტეხეს სროლა, რომლის დროსაც უცაბედად დასჭრეს ფეხში მე 4 უბნის კომისარი ახვლედიანი.

◆ **მილიციელზე თავდასხმა.** 11 ივნისს ღამით რამდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხნენ სამანის მოედანზე მოდარაჯე მილიციელს ბაროლიძეს და სროლა აუტეხეს. სროლამ უშედეგოდ ჩაიარა.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო თეატრი. კვირას, 15 თიბათვეს, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება გუცკოვის ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. ურიელ აკოსტას როლს ბ-ნი იმედაშვილი შეასრულებს.

სასულიერო კონცერტი. დღეს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება სასულიერო კონცერტი. შესრულებული იქნება დ. არაყიშვილის ახალი ლიტურგია.

ოპერის სეზონი. სახელმწიფო თეატრში ოპერის სეზონი დასრულდა მომავალ წელს ანტრეპრიზას ისევ ბ-ნი ევლახიშვილი აწარმოებს.

სომხეთში

სომეხ დელეგატთა დაბრუნება. კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციაზე მყოფი სომეხი დელეგატები: ტიგრანიანი, მამაკანიანი და არზუმანიანი გუშინწინ ერევანში ჩამოვიდნენ დელეგატები მთავრობისაგან ახალი დირექტივების მიღებას აპირებენ.

პარლამენტის დათხოვნა.

თიბათვის 5-ს პარლამენტში ირჩეოდა საკითხი დათხოვნილ პარლამენტის შეკრების ვადის გაგრძელების შესახებ. ნაწილი მომხრე იყო რათა პარლამენტი დაეთხოვნათ სანამ ახალ პარლამენტის არ აირჩევდნენ რაც დაახლოვებით მკათათვის დამლევს ან მარიამობისთვის დამდეგს უნდა მოხდეს. პარლამენტის წევრები მიემგზავრებიან სააგიტაციოდ.

ყარაბახში.

„აშხატავორი“ იტყობინება: „ყარაბახის სომეხთა ეროვნული საბჭო მთელი თავის შემადგენლობით გამგზავრა შუშის მიდამოებში და მთელი ყარაბახის მეთაურობა ხელთ იგდო.

ბრძოლის პირველ დღეს, რომელიც ქალაქში მოხდა, სომხების ჯარის ნაწილები დაიძრნენ ქალაქისაკენ და მხოლოდ ინგლისელების ჩარევამ შეაჩერა ისინი.

მანდარინის (Citrus nobilis) მოვლა-მოშენებისათვის

მანდარინის მოშენება ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრებში დიდი ხანი არ არი რაც დაიწყეს და ისიც კი თუ არ ვცდები ძლიერ პატარა მასშტაბით, უფრო კი აშენეს რამოდენიმე ძირი ეზოს ან ბაღჩის დასამშვენებლად. ბათომის ოლქში კი კომერციულ მნიშვნელობით თუთხმეტ წელზე მეტია მანდარინები გაშენებული და პლანტატორები დიდ შემოსავალს ღებულობენ.

მეც მაქვს ახალი გაშენებული მანდარინები და მინდა ჩემი გამოცდილება გაუზიარო მკითხველებს და ვსთხოვ იმათაც ვისაც გაშენებული აქვს მანდარინები, ცნობები და თავისი გამოცდილება საზოგადოებას გაუზიაროს, რადგან მე ვატყობ რომ მომავალში მანდარინს დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენში.

მანდარინის (Citrus nobilis) სამშობლო დე-კანდოლის გამოკვლევით კონხხინა ჩინეთის სამხრეთი ნაწილი არის და მანდარინა ეკუთვნის ციტრუსების ჯიშს და უფრო უახლოვდება ფორთოხალს, იმ განსხვავებით, რომ მანდარინი უფრო წვრილია და გემრიელი. მანდარინი ითვლება საუკეთესო ჯიშათ ციტრუსებს შორის და ეს სახელი უწოდეს მისთვის, რომ მანდარინი ისე მაღლა დგას სხვა ციტრუსების ჯიშთან, როგორც ჩინეთის მანდარინი მის ქვეშემრდომზე, ან და შესაძლოა რომ მანდარინს ხმარობდნენ საჭმელათ მხოლოდ დიდ კაცები, მაგრამ პირველი ახსნა კი უფრო მართალი უნდა იყოს.

მანდარინის მოშენება შეიძლება საქართველოში, იმ ადგილებში სადაც დიდი ყინვები არ იცის. მაგალითებრ ქუთაისის მაზრაში: ხონისა და სამტრედიის რაიონებში. სენაკის მაზრაში—ვაკე ადგილებში და ოზურგეთის ვაკე-გორაკებში მანდარინი იტანს 8° სიცივეს, ამის დაბლა კი ვერ იტანს და ხმება.

ნიადაგი მანდარინის მოსაშენებლად საუკეთესოა შავი მიწა, ცოტათი ნესტიანი, ქვიშა-ნარევი და თიხიანი.

მე მაქვს გაშენებული მანდარინი 400 ძირი და დავრგე ისინი ნაწილ-ნაწილად, ერთი ნაწილი 1915, 1916 და მესამე—1918 წელს და მოგახსენებთ რუ რაფერ დავრგე და რა წესით.

მანდარინის დარგვა შეიძლება ერთი წლიანიდან დაწყებული 4 წლიანამდის, მერე კი უფრო ძნელია გადასატან-გადმოსატანად და საეჭვოც არის, რადგან ფესოები ელახება ათხრა-გადმოტანის დროს.

მანდარინი უნდა იყოს დამყნილი ტრიფოლიატაზე (trifoliata).

როგორც ზევით მქონდა ნათქვამი, პირველი ნაწილი მანდარინის დავრგე 1915 წელს გიორგობისთვეს, მეორე და მესამე ნაწილი 1916 და 1918 წ გაზაფხულზე, მარტში. თუმცა და დარგვა თებერვალშიაც შეიძლება, თუ თბილი ამინდებია დამდგარი, ყოველ შემთხვევაში, ურისკოდ კი უმჯობესია მარტია თვე. ჩემი მანდარინების დარგვის შემდეგ არც ერთი არ გამხმარა; გიორგობისთვის და მარტის დარგულებმა ორივემ ძლიერ კარგად გაიხარეს.

დარგვა და მოვლა.

ერთი თვის დარგვის წინ მოვამზადე მანდარინის ჩასარგავად ორმოები (ჩემი სოფელი ქუთაისის მაზრაშია, სახელად ლანირი). ორმოები მწკრივად ამოვიღე, ერთ-მეორეზე ორ საჟენზე მოშორებით. განი ორმოს მივეცი ერთ-ნახევარი არშინი და სიღრმე კი სამი-მეოთხედი არშინისა. მიწა ორმოდან ამოყრილი შევაზავე დამწვარი პირუტყვის ნეხვით და ღელის სილით. ორმოში ჩაუშვი ერთი წლიანი მანდარინი, ისე რომ ნამყენი—მიდუღებული ტრიფოლიატოზე მიწის ზევით დავარჩინე ერთ გოჯაზე თოხით მივაყარე შეზავებული მიწა და დავფარე ფესოები. ფესოების დაფარვის შემდეგ მოუტენე ჯერ ფეხით და მერმე კი თოხის ტარით, ან განგებ მომზადებულ მოსატენ კეტით. მოტენის დროს ფესოებს კეტი მოვარიდე და ირგვლივ მოუტენე, მეორედ ჩავყარე მიწამდის კი ერთი შემოვლით ფეხით დავტენე მსუბუქათ და მესამეთ ყველა დანარჩენი მიწა შემოვაყარე და კიდევ უფრო მსუბუქათ ცალი ფეხით შემოუარე. ყველა დარგულებს ჭიგოები დაუსვი და მივაკარი.

დარგვის დროს ყურადღებაში მისაღებია ორი პირობა, პირველი, ის რომ სანერგედან ამოღების დროს მანდარინს ფესოები არ უნდა ჰქონდეს გალახული და დაფხაჭნილი, გადატანის დროს, თუ შორიდან არის წამოღებული, ისე უნდა იქნეს შეხვეული, რომ ფესოები არ უნდა იქნეს

აფხაზეთში

ანარქიის გაჩენის და მასთან ბრძოლის ისტორია

(1917—1918 წ.)

1. ახალი მატიანეს დასაწყისი.

არსად ისე მცირე ყურადღებას არ აქცევს შეგნებული საზოგადოება ცხოვრების შესამჩნევ გარემოებების აღწერას, როგორც ჩვენში რაც უნდა შესანიშნავი მოვლენა მოხდეს, არავის სურვილი არ დაებადება კალამს ხელი მოჰკიდოს და მიუდგომლად ასწეროს ყოველივე ერის მოწმეც ის იყო, ამით ისტორიისათვის მასალა მაინც დასტოვოს. საზოგადოების წინმსვლელობა, განვითარება არ მოხერხდება, თუ ის წარსულის მაგალითებით არ ხელმძღვანელობს; რაც უფრო შეგნებულია საზოგადოება, მით უფრო სარგებლობს ის მრავალნაირ ნაწერებისგან ამოკითხულ დაკვირვებანით და შენიშვნებით. ჩვენში მართლის თქმა ყველას ეზარება: სიმართლის ერთი ცუდი მხარე ის არის, რომ მისი გამომჟღავნებით უსათუოდ ვინმე კერძო პირის, ანუ საზოგადო მოღვაწის საქციელის უკეთური შედეგები უნდა გამოირკვეს; ეს კი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მართლის მთქმელს; ამაოდ კი არ უთქვამს ჩვენ ხალხს: „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“! მიუხედავად ამისა, ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლით ყოველივე ის, რაც იყო, დაუფარავად გადავსცეთ მკითხველ საზოგადოებას, რომ შემდეგ თაობამ მაინც გაითვალისწინოს ის შეცდომები, რომელნიც ჩადენილი იყო ჩვენი საზოგადო საქმეების მეთაურებისაგან.

მინდა საზოგადოებას გავაცნოთ ის განსაკუთრებული პირობები რომლებ შიდაც ცხოვრობს სოხუმელი ქართველობა. არსად, არც ერთ ჩვენი ქვეყნის კუთხეში ქართველობის მოქმედობას ისეთი დამზადებული და წინასწარ მოწყობილი წინააღმდეგობა არ ჰხვდება, როგორც სოხუმის ოლქში, ვისაც შეუსწავლია რუსული პოლიტიკის ხასიათი, მის ტენდენციური განვითარებისათვის ჩვენში თვალი უდევნებია, იმისათვის ადვილი გასაგებია ის, რომ უკანასკნელი ძალღონე გამ რუსებელ პოლიტიკის მწარმოებელთა მაპყრობილი იყო აბხაზეთზედ. შუაგულ საქართველოშიაც ბევრი შრომა დაიხარჯა ჩვენი გადაგვარების საქმეზე და ამ მხრივ საკმაო ნაყოფიც გამოიღო ასი წლის მოღვაწეობამ აბხაზეთში კი სულ სხვა პოლიტიკას დაადგა რუსის მოხელეობა: აქ, განსაკუთრებით უკანასკნელი 15—20 წ. განმავლობაში, მათი მეცადინეობა,—ქადაგება იმ მიზნით წარმოებდა, რომ აბხაზებისათვის ჩაეგონებინათ რომ, მათ დაღუპავს საქართველოსთან ერთობა; რუსები ცდილობენ აბხაზებს თავიანთი ეროვნული ხასიათი, თვისება, მიწა—წყალი ქონება შეუნახონ მაგრამ ქართველობა, განსაკუთრებით მეგრელობა მათ ჩაყლაპავს—მისპობს და განადგურებას სცდილობს. ეს აზრი არა მარტო ქადაგებით, არამედ მასწავლებელთა და მოძღვრებთა შემწეობით ენერგებოდა სასწავლებელში აღზრდილ მოწაფეს, აბხაზთა სკოლებში ნასწავლი ახალგაზრდობა ჩვენებურებისადმი მტრული განწყობილების გრძნობით არის აღზრდილი. სანამ რუსობა გაბატონებული იყო ჩვენში, ძლიერ ძნელი იყო ბრძოლა ჩვენთვის მავნე პოლიტიკასთან. აბხაზთა მოსატყუებლად რუსულ ანბანზე კუდ მობმულ ნიშნების მეოხებით აფხაზური სამწერლო ენაც კი შეადგინეს რუსის მღვდლებმა და მედავითნეებმა, რა თქმა უნდა, მთავარი მიზანი ამ ახალი დროის „კირილე და მეთოდე“ ნისა ის იყო, რომ აბხაზეთში, თუ თვით აბხაზები მღვდლები ცოტაა—რუსის მოძღვრებს შესძლებოდათ თავისუფლად მოღვაწეობა სოფლადაც და ქალაქებ შიაც.

როცა რუსეთის სიძლიერე შეირყა და ეროვნებათა საკითხი თვითეულ ხალხს თავის საშუალებით დაურჩა გადასაწყვეტი, დიდის დაკვირვებით და წინდახედულობით უნდა მოვკიდებოდით აბხაზებთან დამოკიდებულების საქმეს; რაც ასი წლით განზრახ გაფუჭებული იყო ჩვენი მოწინააღმდეგეებისაგან, ის ჩვენ უნდა გაგვესწორებინა დიდი მოხერხებით და სათუთი მოპყრობით; მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ თავიდანვე ჩვენ ჩვენი საკუთარი საქმე, შინაური გასაჭირი დავიწყებული გვქონდა: საერთო ეროვნულ საკითხზე ფიქრი და მსჯელობაც გვეშინოდა, გვიძნელდებოდა. საერთო სახელმძღვანელო პოლიტიკა ჩვენ შინაურ საქმეებისათვის არ არსებობდა და ამიტომ ყოველი კუთხე ისე ეწყობოდა, როგორც შემთხვევით შეკრებილ ჯგუფს საზოგადოებისას მოესურვებოდა; ასეთმა გამოურკვეველმა გარემოებამ, ასეთმა სახელმძღვანელო გეგმის უქონლობამ ბევრი ზარალი მიაყენა ჩვენ საერთო საქმეს, მაგრამ „წამხდარსა საქმეს, რას არგებს შემდეგში თითზედ კბენანი“ როცა რუსეთში თებერვლის დიდი რევოლუცია მოხდა, მე, როგორც სოხუმის ქალაქის თავი სასურსათო საქმეების მოსაწყობად ყუბანის ოლქში ვიყავი და შემთხვევით სარატოვში მოვხვდი; იქ პირველადვე გამოირკვა ხასიათი მთელი რუსეთის ცხოვრების გადასხვაფერების დაუყონებლივ გამოვეშურე ჩვენსკენ: თავიდანვე ვგრძნობდი, რომ საერთო არეულობა ყველაზედ უფრო დაეტყობოდა სოხუმის ოლქს, სადაც მრავალნაირი ხელის შემშლელი პირობები იყო დამზადებული ცხოვრების ნორმალური მსვლელობის მოწყობის საწინააღმდეგოდ. ერთად ერთი ჩვენთვის ხელსაყრელი და ჩვენებური საქმეების სასურველად მოწყობისათვის სასარგებლო განკარგულება რუსეთის რევოლიუციონური მთავრობის ის იყო, რომ ყველა ძველი ადმინისტრატიულ ბიუროკრატიული წყობილება უნდა ძირიანად შეცვლილიყო და ახალი წესი დამყარებულიყო; პირველად ნაჩვენებიც იყო პრაქტიკული ზომები: ერთი დეპეშით წინადადებას იძლეოდა მთავრობა ქალაქებში ყველა ადმინისტრატიული სამმართველო ახალი არჩევნების მოხდენამდე ქალაქის თავებს ჩაებარებიათ, მაზრებში კი ერობის გამგეობის თავმჯდომარეებს, რუსეთიდგანვე დეპეშა მოვიწერე სოხუმში, რომ ადმინისტრატიულ მართველებს დაუყონებლივ ჩამოერთმიათ საქმეები და გადაეყენებულ ყოფილიყვნენ იჩენი თანამდებობიდგან გადაყენებული. არსად ეს წესი ისე სასარგებლო არ იყო როგორც სოხუმის ოლქში, ყოველ დღე მათი მოქმედება მრავალნაირ სახიფათო და ჩვენებურობის საწინააღმდეგო გარემოებას გვიმზადებდა.

ყოველივე საზოგადოების საქმეში ისე როგორც სამხედრო მოქმედების დროს, დიდი მნიშვნელობა აქ ინიციატივას. თუ რომელიმე ჯგუფი წინდაწინ მოფიქრებული გეგმის თანახმად მოქმედობს, ის უფრო ძლიერია, ვინემ რიცხვით მრავალი საზოგადოება. თუმცა ქ. სოხუმში ყველა საზოგადოების დაწესებულებაში ქართველობა რიცხვით უმრავლესობას შეადგენს, მაგრამ უმცირესი ნაწილი—რუსობა მხოლოდ მიტომ, რომ ყოველივე საქმეში შეთანხმებულად და წინასწარ განზრახული გეგმის თანახმად მოქმედებენ ყოველ შემთხვევაში უფრო ადვილად აღწევენ თავიანთ მიზანს.

რუსეთში მომხდარ რევოლიუციის ამბების მოსვლისთანავე სოხუმელმა რუსობამ უკვე შეადგინა დაუყონებლივ გეგმა თავის მოქმედებისა: უნდა დატოვებული ყოფილიყო თავიანთ ადგილებზე ყველა რუსი მოხელეები, სანამ მათი გადაყენების შესახებ განკარგულება არ მოვიდოდა ცენტრიდგან ე. ი. პეტროგრადიდან და თუ დაჟინებით მოითხოვდენ საზოგადოების წარმომადგენელნი მათ გადაყენებას, მაშინ ყოველი უფლება—მთელი ოლქის გამგებლობის უნდა გადასცემოდა მხოლოდ აფხაზებს; ეს განზრახვა ადვილი ასახსნელია: აბხაზებს საკმაო მომზადებული სხვა და სხვა თანამდებობისათვის მოხელეები არ ჰყავთ, მაშასადამე, რაკი ქართველებისადმი უნდობლობა იქნება დამყარებული, ისევ რუსები დარჩებიან აბხაზეთში თვით აბხაზთა შორის ამ მიზნით მოამზადეს ნიადაგი: ყველა ყოფილი მოხელეები და რუსულის მცოდნე აბხაზები შეაგროვეს აღუძრეს მათ იმედი დიდი თანამდებობის მიღების შესახებ და დაამზადეს ისინი ქართველების საწინაამდეგოთ. ქალაქის თვითმართველობაშიდაც ხმოსანთა შემადგენლობაში ორმოცი კაცისაგან 12 რუსის, ორი ბერძენის და ერთი სომხის გარდა ყველა ქართველები იყვნენ, მაგრამ რუსებმა მოახერხეს საქმე ისე, რომ „კოოპერაციის“ მეოხებით ახალი რევოლუციონური წესების თანახმად 30 კაცი რუსები შემოიყვანეს სხვა და სხვა ვითომდა რევოლიუციონურულ დაწესებულებათ წარმომადგენელნი. ყველა ისინი კი ერთი აზრით და მიზნით იყვნენ გამსჭვალულნი, რომ რამენაირად თვითმართველობაში გამგებლობა და უფლება ხელში ჩაეგდოთ, როდესაც რუსეთიდგან ჩამოვედი მდგომარეობა ასეთი იყო, რომ მთელი ძალა-გავლენა საბჭოში რუსების ხელში იყო; ერთად ერთი ხსნა იმაში იყო, რომ „კოოპტაციის მეოხებით მოწოდებული ხმოსნები არ მეცნო; თუმცა დიდი წინააღმდგომა გამიწიეს მაგრამ მაინც ჩემი უფლებით ახალი შემადგენლობა საბჭოსი არ მივიღე: ძველი წესით არჩეულ ხმოსნებს წარუდგინე წინადადება, მხოლოდ ახალი კანონის თანახმად დემოკრატიული წესით არჩეულ ხმოსნებს შეუძლია ძველი საბჭოს მაგიერობა გასწიოს და არა ხელოვნურად მოწოდებულ კერძო პირებს; ამნაირად დროებით დავიხსენით თავი ხიფათისაგან. რუსებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ახალი არჩევნების მოხდენამდის ქალაქის გამგებლობა ხელში ჩაეგდოთ და ამნაირად ყველა ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულების ფაქტიური მართველი გამხდარიყვნენ პირველი მორიგი ჩვენი საქმე ის იყო, რომ ყველა საადმინისტრაციო თანამდებობიდან ძველი მთავრობის მომხრეები გადაეყენებინა; რაკი ჩემ ჩამოსვლამდი არ მოხერხდა ეს საქმე, მე კატეგორიულად მოვითხოვე ახალი წესის თანახმად ძველი მოხელეები გადამდგარიყვნენ სამსახურიდან. როდესაც რუსობამ შეატყო, რომ ფორმალურად და არსებითადაც მე მართალი ვიყავი და ჩემი აზრი უნდა გასულიყო, ყოველივე ზომები მიიღეს, რომ აფხაზთა შორის ქართველობის საწინააღმდეგო განწყობილება დაემზადებინათ.

ნიკო თავდგირიძე.

(შემდეგი იქნება)

შემჭკნარ-გამხმარი, მეორე ის რომ დარგვის დროს ნამყენი არ უნდა იქნეს დაფარული მიწით და ღრმათ არ უნდა იქნეს დარგული.

მანდარინის დარგვა უკეთესია გადაბრუნებულ მიწაში. მიწას გადაბრუნება იმ გვარათ უნდა, როგორც ვენახის ნამყენების მოსაშენებლათ სამი-მეოთხედი ჩარექი სიღრმით.

ჩემი მანდარინები იაპონიის ჯიშისაა უნშუ. ეს ჯიში ბათუმის ოლქში უკეთ ხეირობს ვიდრე იტალიისა. ნაყოფი უფრო მსხვილი და გემრიელიცაა და უკურკოა. მცენარე უეკლო, გაზაფხულზე შევნიშნე, რომ გიორგობისთვის დარგულმა უფრო ადრე ამოიყარა, ვიდრე მარტის დარგულებმა და ეს ადვილი ასახსენია.

გიორგობისთვის დარგული შეეჩვია მიწას და ადგილის პირობებს და მისთვისაც მალე ამოიყარა. ივანობისთვეში კი ყველა ნერგებმა ახალ-ახალი ტოტები ამოიყარა და მშვენიერათ გაიზარდნენ ზოგიერთ მათგანმა ყვავილებიც გამოიტანა, მაგრამ ყვავილები არ შევარჩინე, რადგან მცენარეს ზრდას შეუშლიდა.

მანდარინს თავისი ავათმყოფობა აქვს: უჩნდება წითელი ობობობა და შავი ტილის მსგავსი (тля). ეს უკანასკნელი ძლიერ აფერხებს მანდარინს, ესევა ფურცლის ქვედა პირს და მცენარის ღეროებს. ამ სენს ესევა ჯინჭველი და ერთი ძირიდან სხვა ძირზე გადააქვს. ფებარი საშვალებათ მანდარინის მტერის წინაალმდეგ ხმარობენ და მეც ყოველ წელს ვხმარობ კარბოლის სიმჟავის სითხეს და მწვანე საპონს. ეს წამალი მზადდება ამ ნაირათ: უნდა აიღოთ 100 გირვანქა წყალი 2 ნახ. გირვანქა კარბოლკის სიმჟავე. კარბოლკის სიმჟავე უნდა გახსნათ წყალში და ყოველ 30 გირვანქა კარბოლკის სიმჟავე არეულ წყალში გაურიოთ 1 გირვანქა, სხვა ცოტა წყალში გახსნილი, მწვანე საპონი. ამნაირათ მომზადებული წამალით ვერმორელის მანქანით, ან სხვა შესაშხაპუნებელ მაშინით აპკუროთ მანდარინები. პკურება უნდა დაიწყოთ აპრილში სანამ ახალი ტოტები დაინძრეოდეს. პკურების შემდეგ მცენარე ცოტა ხანს ფერს იცვლის, მოშავო ფერს გადაიკრავს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ გამოხალისდება, მშვენიერ ლურჯ ფერს მიიღებს. კარგია აგრეთვე ბორდოს სითხე შაბიაბანი, ვენახისთვის რომ ხმარობენ ბორდოს სითხე მაისში გაუკეთე. ერთის სიტყვით ორივე საშვალება ვცადე და ყველა ძირი გადაურჩა ავათმყოფობას.

გასხვლა მაინც და მაინც მანდარინს არ უყვარს, მხოლოდ საჭიროა მეტი მძინარე ტოტების მოცილება და დიდრონ ტოტების გადაკვეცა. უკეთესია ტოტების ყლორტების ხელით მოწყვეტა. ხშირათ ტოტები, თითქმის არშინ ნახევარს გაიზრდება, მოიღუნება და მიწაზედაც დაწვება და რაც ტოტები იწყვიტება, მოწყვეტილ ადგილებზე ნაყარს იკეთებს და მანდარინსაც რგვალი ფორმა ეძლევა.

შემოდგომაზე ახალი, ერთი და ორი წლის დარგულები სიმინდის ჩალით უნდა დაიხუროს. სამი ღერი ჭიგო უნდა მიუსოთ მანდარინას. წვერები ჭიგოებს უნდა შეუკრათ და შემდეგ ირგვლივ ჩალით შემოსოთ, რასაკვირველია ჩალა უნდა ჭიგოებზე მიაკრათ. ამნაირათ შენახული მანდარინები ზამთარს იოლად გადიტანს.

ჩემი მანდარინები ერთი და ორი წლიანი 1918 წ. ჩალის ღეროებით შევკარი და სამი წლიანი მხოლოდ ჭიგოებზე ავაკარი. თითო ძირი სამ სამი ჭიგო მიუსვი, ისე რომ ერთი საზენაოსკენ ყოფილიყო, წვერები შეუკარი და მიუხედავათ იმისა რომ წრეულს ჩვენში დიდი ქარები იყო და ყინვაც, მანდარინები მშვენივრათ შეინახა და სრულებით არ ეტყობა მოწყენა.

მეორე წელზე 50 ძირმა ნიშნები მომცა და 80 ნაყოფი მოვკრიფე. შარშან კი 1918 წ. გიორგობისთვის დამლევს ე. ი. მესამე წელზე, იმავე 50 ძირზე დავკრიფე 2500 ნაყოფი. ზოგიერთ მძლავრ ძირზე ესხა 160 ნაყოფი, ზოგზე 120. ნაყოფი მშვენიერი იყო, ბევრათ უფრო მსხვილი ბათუმელ მანდარინებზე და უფრო გემრიელი თითო ნაყოფი ს მტრედიაში ფასობდა 50—70 კაპ. მოყინვის ასაცილებლათ გიორგობისთვის დამლევს პირუტყვის ნეხვი ყოველ ძირში მიუყარე, ისე რომ ნამყენიც ნეხვიდან იყოს დაფარული, გაზაფხულზე კი ეს ნეხვი უნდა მოშორდეს, გადაბარვის დროს მიწაში ერიოს და ძირში დაურჩება მანდარინას. ძლიერ კარგია აგრეთვე ნაცარი, რომელიც ბუხარში და საქვაბე სახლში რჩება.

ჩემის აზრით, ნაყოფიერება მომავალში მეტი ექნება და როგორც გამოცდილი ბათომის მებაღეები ამტკიცებენ 10 წლის მანდარინამ 500 ნაყოფი უნდა გამოისხასო.

მანდარინის მოკრეფა უნდა ბაღის მაკრატლით, ისე რომ ყუნწი მთლად ძირში უნდა დაეჭრას, რადგან ყუნწი გრძელი თუ დაურჩა ყუთებში ჩაწყობის დროს ნაყოფი ერთი მეორეს გააფუჭებენ. მოკრეფის დროს ფაქიზად უნდა კალათში ან სხვა რამე ჭურჭელში ჩაწყობა, რადგან უყურადღებოდ მოკრეფილი ნაყოფი დაიბეჟება და მალეც დალპება. მოკრეფის შემდეგ ნაყოფი უნდა ჩაიწყოს ხის ყუთებში არა უმეტეს 50 ცალისა. ყუთში მწკრივათ უნდა იყოს მოთავსებული და თითეული მანდარინი უნდა იყოს შეხვეული თხელ (პაპიროზის!) ქაღალდში.

შესანახად, თუ ადგილიდან არ დაძრავ, იმ შემთხვევაში ერთ მოლიდო ყუთში 100—200 შეინახება. აგრეთვე ერთ დღის სავალზედაც მატარებლით შეიძლება 200 ცალის ჩაწყობა უზიანოდ. შენახვით, შეხვეული ქაღალდში აპრილამდის შეინახება. მხოლოდ მანდარინს სიმჟავე ეკარგება და ტკბება.

მოკრეფის შემდეგ, რასაკვირველია, მანდარინის გადარჩევა უნდა, რადგან მათ შორის გამოერევა მსხვილი, საშვალო და წვრილებიც, რომელთაც ბაზარში თავთავისი შესაფერი ფასებიც აქვს.

ცოტა რამ კიდევ მინდა მოგახსენოთ მანდარინის ტრიფოლიატზე დამყნის შესახებ: ტრიფოლიატა, ან სამყური ციტრუსი, როგორც ამას ამტკიცებს ლათინური მისი წოდება **trifoliata**, ბევრ გვარია. არის ტრიფოლიატა მუდმივ ფოთლიანი და მეორე ჯიში კი რომელსაც ზამთრობით ფოთოლი სცვივა და სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა იქნეს დამყნილი მანდარინა, რადგან ეს სამყურა ციტრუსი ფრო უძლებს ქარ-ყინვას.

გამომკვლევამდე ამ ტრიფოლიატას ხმარობდნენ ცოცხალ ზღუდეთ, რადგან ეს მცენარე ძირიდან-წვერამდე ეკლებით მჭიდროთ არის შემოსილი და მერმე კი მაზე დაიწყეს მყნობა.

ტრიფოლიატას ძირი მექნება 1000 ძირამდე და რამოდენიმე მათში უკვე იძლევა ნაყოფს. ნაყოფი ძლიერ გავს როგორც მანდარინს, ეგრეთვე ლიმონფორთოხალს, მხოლოდ წვრილებია, ძლიერ მჟავე და ნაყოფი კურკებით არის გატენილი. ამ მცენარის კურკები უნდა დაითესოს თებერვალში, ან მარტში, კარგად მომზადებულ ადგილში ე. ი. განეხვილ ქვიშა ნარევ ნიადაგზე. როგორც კანაფი ისე სწორათ ამოვა ნათესი და ივლისის დამლევიდან, აგვისტოს დამლევამდე უნდა დაიმყნას მათზე მანდარინი. მანდარინებში უნდა აირჩეს ზედა რგვალი, გამომტანი ტოტები და როგორც სხვა ხეხილები ისე მანდარინიც კვირტით უნდა დაიმყნას. ორი-სამი კვირის შემდეგ შეხვეული ნამყენების ადგილი უნდა გახსნათ და მსუბუქათ ისევე შეკრათ, ამას მისთვის შვრებიან, რომ რითაც იქნება ნამყენი შეხვეული (კანაფი იქნება ის, თუ დრაცენის ფურცელი) არ ჩაშჭრას დაკოდილი ადგილი, რადგან ტრიფოლიატა ექენისთვის დამლევამდე, როგორც სიგრძეზე, ეგრეთვე სიმსხოზე იზრდება.

როცა კვირტი ე. ი. თებერვლის დამლევს და მარტში ამოიყრის, მაშინ ნამყენ ზევით ნახევარ გოჯაზე უნდა გადიჭრას ტრიფოლიატის წვერი ნამყენიც დაიწყებს ჩქარა ზრდას. ასე მომზადებული ნამყენები გადიტანება დასარგავათ მეორე წლის გაზაფხულზე.

ამით ვათავებ ჩემს წერილს და მხოლოდ დავძენ, რომ ეს მცენარე ყურადღების ღირსია და ჩვენში ამას, ხეხილებ შორის უპირველესი ადგილი ექნება მომავალში და ეხლავე უნდა ყურადღების მიქცევა.

კოკინია დგებუაძე.

სტუდენტების საყურადღებოდ.

როგორც მკითხველებმა უწყიან ჩვენს მთავრობას განუზრახავს მომავალ ენკენისთვეს დასავლეთ ევროპაში ასი სტუდენტი გაგზავნოს. ამისათვის მთავრობის მიერ სათანადო თანხაც გადადებულია. მაგრამ საინტერესოა, თუ რა პირობებში და ან ვინ ჰყავს განზრახული ჩვენს მთავრობას საზღვარგარედ გასამგზავრებლად?

ჩვენის აზრით ამ შემთხვევაში არავითარ მამიდაშვილობას ამნაირ საქმეში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. უნდა გაიგზავნოს ისეთი სტუდენტი, რომელიც ჯერ ხელმოკლეობს და დიდი წყურვილი აქვს სწავლისადმი, ან ისეთნი, რომელთაც მიზნად დასახული აქვთ რაიმე სპეციალური საგნის შესწავლა. იმედია ჩვენი მთავრობა ამას ყურადღებას მიაქცევს და გაჰგზავნის იმნაირ ხალხს, რომელთაც მართლაც დიდი წყურვილი აქვს სწავლისა.

დასასრულ, ყურადღებას მივაქცევ ჩვენი სტუდენტების ორგანიზაციებს რომელთაც ევალებათ ხმის ამოღება ამ ფრიად საინტერესო საკითხში მონაწილეობის მისაღებად.

სტ. დაგ. გამრეკელი.

ღია წერილი

ყოფილ სამხედრო კავშირის სალიკვიდაციო კომისიას.

ნახევარი წელიწადია მას შემდეგ, რაც სალიკვიდაციო კომისია შეუდგა კავშირის ლიკვიდაციის საქმეს. მეგონა, თუ კომისია შრომის უნარს გამოიჩენდა და მოკლე დროში გაათავებდა მუშაობას, რის შემდეგ უნდა მოწვეული ყოფილიყო საერთო კრება და გასცნობოდა საქმეს, მაგრამ ჩემი იმედი არ გამართლდა. ნახევარი წელიწადი გადის და არ ვიცი რას აკეთებს კომისია, არა სასიამოვნო ხმები კი ძალიან ბევრი მესმის. ამისათვის, უმორჩილესად ვთხოვ სალიკვიდაციო კომისიას გვაცნობოს, როდის იქნება დამთავრებული მათი მუშაობა და მოწვეული ყოფილი სამხედრო კავშირის წევრების საერთო კრება.

ზოგიერთი წევრების მინდობილობით **აგ. აბესაძე.**

ტრფობა ნამეუფლი

(ისტორიული რომანი)

აღარ გასჭრა არავითარმა რჩევამ ნათესავთა თუ მეგობართა, არავითარმა ხვეწნამ და ტირილმა; არც თუ განმაგებელთა ბრძანებამ. იდგა იგი ბოროტად მღიმარე და ყოველივე ღონისძიება სხლტებოდა ლითონად ქცეულ სიპ მის არსებაზედ. აღიკვეცა მონაზონად საშუალ ნათესავთა და მეგობართა გოდებისა.

— ღირსი მოწამე ღირსის მასწავლებელისა! ორნივ უტეხნი, ორნივ სასტიკნი თვის წმიდა მისწრაფებაში. მაგ სასულიერო რაინდთა ფარზედ ამოჭრილია: „ან ძლევა, ან სიკვდილი!" შესძენენ ეგენი ეკლესიას დიად სიმტკიცეს, ან დაინთქმებიან ზედ ბრძოლის ველზედ!

— მეც ეგრე ვფიქრობ. განგება უფროჲ ჭკვიანია ჩვენზედ, ხოლო მადლი უფლისა შორს გამჭვრეტელი. ალბათ ეგეთ მებრძოლთ მოითხოვს ეხლა ბედი ჩვენის ეკლესიისა. აღსრულდეს ნება უფლისა!

— იყავნ! იყავნ!

ტოლად ილვწოდნენ ეს ქრისტეს მიერ და-ძმანი გარეგანის სახით, ხორციელის ურთიერთობის უარყოფით, ხოლო ნამდვილი სასტიკნი მოტრფიალენი ურთიერთისა, რომელნი შეგნებულად აშთობდნენ ყოველ ნასახს ბუნებრივის მოთხოვნილებისა. აწ იგი მოთხოვნილებანი, ღვთისაგან ნაკურთხი მიღტოლვანი, ბოროტისაგან იყო მათთვის შთაბერილი და ებრძოდნენ იმათ, ვით სატანაილს მათ გვამში სახებულს. ძვირად უჯდებოდათ მედგარი ბრძოლა არაბუნებრივი და მით უფრო სისასტიკით ევსებოდათ გული, თავის თავისადმი სიმძაფრით უდიერით: უწყალოდა სპობდნენ თავის სულში ყოველ ნასახს ქვეყნიურის ყვავილისა. და დაამზგავსეს არსება თვისი ქვეყანას ურწყულს და განხმულს, სად მცხინვარებდა ალად ასული სიცხოვლე ცის მახურისა ცდილობდნენ მიწის შვილნი სულ აღარა ჰკარებოდათ მიწაზედ ფეხი; ისწრაფოდნენ თვის გარემოც განვითარებინათ ბრძოლა ნივთიერ სიამეთა წინაალმდეგ, რომ ამოეფხვრათ იგი სიამე ყველგან საყოველთაოდ. და ეს .. სადიდებელად ღვთისა—მამისა! ჭეშმარიტად სასტიკი იყო ღმერთი იგი მათი და ითხოვდა მსახურებას უსასტიკესს.

— მადლი უფლისა მრჩობლად გადმოვიდა კურთხევის დროს გრიგოლ ბერ-მონაზონზედ და განაძლიერა ძალნი მისნი დიდებად ეკლესიისა! ამბობდნენ მახლობელნი.

და უკვირდათ, როგორ უძლებდა მოძღვარი ახალი შეუფერხებლივ სვლას გზაზედ განვითარებისა, შრომას ზეკაცურს თვის გონების ასამაღლებლად, თავის არსების განსაწმედათ ხორციელ გულისთქმათაგან. ჭეშმარიტად ამ ცხოვრებაშივე შეირიცხებოდა წმიდათა თანა.

ბუმბერაზი ჩაუდგა ქართველთა ეკლესიას მებრძოლთა რაზმში, ახალი გოლიათი, რომელი მიმოიხედვიდა შეჰურვილი, მარად წამს ეძებდა თვის სწორ შემმართებელს. ეკლესიის ალყვავებისათვის ის წარმშეუხრელად შეებრძოლებოდა თვით ძალთა ჯოჯოხეთისათა. ებრძოდა კიდეც იმ ბოროტ ძალებს ათას სახედ აჩენილთ ცოდვილ ქვეყანაზედ.

დარწმუნდნენ მეედრებელნი, რომ არ შესცდნენ თვის არჩევანში: მათ მოლოდინს მრავლად გადააჭარბა რჩეულის მოღვაწეობამ.

— ანგელოსი უფლისა ყოვლ დამპყრობელისა არს ესე: ვით ანგელოსი სდგა! იგი ყოვლისა ჭეშმარიტებისა მასწავებელად! იტყოდეს მთავარნი.

და განიზრახვიდეს ეპისკოპოზობასა მისსა.

48.

ნეტარმან გრიგოლ, ოდეს იხილა თავი თვისი ხორციელად დიდებასა შინა, ფრიად შეწუხდა. სწუხდა გული მისი. ჯვარ დინ გზაზედ დამდგარიყო ძნელ ასარჩევზედ და მისთვის სწუხდა. დაკვირვებით დაამზერდა სხვა და სხვა მხრისკენ მიმავალ გზებს ახალგაზრდა მღვდელ-მონაზონი. მარჯვნივ მიიგრაგნებოდა ფართო შარა, რომელი გადადიოდა ეკლესიაზედ და მაინც ხორციელ განცხრომას თუ ქვეყნიურ დიდებას მიუპყრობდა მწირ მოღვაწეს.

— შენდა შემიმზადებია დიდებული ხარისხი საეკლესიო, ქართველთა საპატრიარქო საყდრისადმი მიმყვანებელი ჰე ფარჩა ლბილი მეწამული, დიბა ზარქაში ოქროცურვილი, ქოშწუღა გოჭარ შეყრილი; გვირგვინი თავსა შენსა ქვათაგან პატიოსანთა; შენდა ამბორი მიწად დახრილი; მორჩილნი და მონანი მსახურებად შენდა; სანოვაგე რჩეული მეტად შესარგო; წარჩინებულთა თანასოფლისა ინახით ჯდომა; მამულ-სამკვიდრებელი უხვად მოძღვნილი. იარე ამ გზით, თავადო ეკლესიისა!

— შესდეგ! ეს გზა ისევ დიდების საგალია ხილულისა, ნივთიერის კეთილდღეობისა, ის საკვირველი კვალი, რომელსაც ვინმე მწირი, ქვეყნიურის კეთილის ფიცით უარმყოფელი, ისევ გამოჰყავს დიდებულ რამ სეფაში, სად განმზადებულია ფუფუნება, განცხრომა თუ ბრწყინვალება ისეთი, რომელს ესწრაფვიან რჩეულნი ერისანი

— მკვიდრად სდეგ, მწირო! ისმინე ჩემიც: იგი პორფირი, გვირგვინი თუ დიდება მაინც ყალბია, მხოლოდ მიბაძვა ქვეყნის რჩეულთა, მეფეთ მიბაძვა, მთავარი ტოლობა. ამათ რამ ცდა განდიდებისა! გვირგვინი ფასდაუდები პატრიარქისა მაინც ვერ დაედრება სამეფო ჯიღას ზეცით მოღებულს, კვერთხი ოქროსი სკიპტრას მეფისას. ამით რამ ცდა განდიდებისა! აქ ეკლესია გამოვალს თვისის მზღვრებიდან და შეიჭრების სხვა სამფლობელოს.

— სიმართლე გესმის! რა აქვს საერთო ეკლესიის თავადთა პალატებს უბინაო ბინასთან იესოსი, ოქროქსოვილ ტალავარს დაბეძკილ ქვართან ნაზარეველისა, მარგალიტით მოოჭვილ ქოშებს თასმით შეკოპილ ხამლთან ქრისტესი, მის სამწყსო არგანს ახალი მწყემსის ძვირფას რამ კვერთხთან, მის კარაულს ნათხოვარს ლბილად მოფარდაგულ—შემკობილ ეტლთან, სამარიტელისაგან მიწვდილ ჭის წყალს ხოშგურულ ნექტართან, ეკლის გვირგვინსა ლალ იაგუნდით მოჭარგულ იალქანთან?! რა აქვს მეთქი საერთო ფერხთა მბანელ მესიასთან მის განდიდებულ მოადგილეს, რომელს ოქროს კულით ჰბანენ ხელს ვერცხლის თასში და წარხოცენ სპეტაკ არდაგით?!

— არაფერი! სრულიად არაფერი!

და ვიტყვი კვლავ: მაინც ეს უფერი ყოფა განდიდებული მხოლოდ მიბაძვაა სამეფო ტახტისა, მხოლოდ ანარეკლი მისის შარავანდედისა. თაღლითია იგი დიდება!

— აწ რას ინებებ, მწირო სვიანო? აგისრულდების ნატვრა გულისა: ცა გაქვს გახსნილი.

— არა მსურს დიდება ესეთი! მაცხოვართან შეურიგებელი, თავის არსებით მაინც არა ბუნებრივი, დიდებათ ნასესხ-მბაძავი. აშოტის ტახტის თუნდ მარჯვნივ დავსჯდე ნატითა და ბალიშითა პირველ ადგილზედ, მაინც იგი ისევ იმ თვალით უნდა მიმზერდეს, როგორც მიყურებდა სასახლეში ბატონიშვილი გალაღებული ობოლს შევრდომილს, სამადლო ლუკმით გამოზრდილ-გამოყვანილს. არ შემიძლიან ამ გზით სვლა; სიცოცხლე ჩამიშავდება ოქროთი მოვარაყებულს, იდუმალ დაიტანჯება სული ჩემი უტეხ უდრეკი. არ შემიძლიან!

— აი გზა იწრო და ეკლიანი!

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნულ-დემოკრატ ახალგაზრდათ

კონფერენცია

დანიშნულია ორშაბათს, თიბათვის 16.

საკითხები: უფროს ამხანაგთა კონფერენციისა და ჩვენი მუშაობის საორგანიზაციო მხარეები.

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება"
ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას" აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—22)

მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.
მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დღის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.
მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.
მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.
მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.
მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსისკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.
მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.
მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.
მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთას შუა

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.
მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროთი.

თბილისიდან-მელაანამდე.

საგარაკო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საგარაკო მატარ. № 15 მელაანშა უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება საგარაკო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღ. 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყლამდე.

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ექიმი
ა. მ. პაატაშვილი
იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგის და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).
(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის— ელექტრო-წამლობის კაბინეტში, განსინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სოლენოიდი და [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ზებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს პირდაპირ", ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი
ე. ა. მონსე
ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით სიმსუქნის მკურნალობა ელექტრონის აპარატით, [illegible] მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.
50—2119—48

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.